თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი №4

ქ. თბილისი 2017 წელი, 13 დეკემბერი, 17:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ბექა დავითულიანი, დავით ულუმაჯურიძე, ვახტანგ შაქარიშვილი, დავით ფუთურელიძე, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, ყოჩა თეოდორაძე, ჯახა ჯიშკარიანი, გიორგი გაბაშვილი, თეოდორე ისაკაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა: რევაზ სოხაძე

<u>სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:</u>

გაიოზ თალაკვაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი
გიორგი ბაიდარაშვილი - ა.ა.ი.პ. თბილისის განვითარების ფონდის უფროსი
მამუკა მუმლაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი
მალხაზ ჭამპურიძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე
მამუკა კობახიძე - შ.პ.ს. „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" დირექტორი
დავით დოლაძე - შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფის" დირექტორის პირველი მოადგილე
ირინა ჭეიშვილი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

დღის წესრიგი:

1. „თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12 031734272-03)

2. ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად კომისიის წევრის ვახტანგ შაქარიშვილის წარდგენასთან დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. „თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12 031734272 03)

კომისიამ განიხილა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წარმომდგენი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერი (წერილი№12 031734272 03) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აღნიშნავს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენიშვნების გათვალისწინებით. ბიუჯეტის მოლიანი მოცულობა განისაზღვრა 861 609,0 ათასი ლარით. წარმოდგენილი პროექტი პირველ ვარიანტთან შედარებით გაზრდილია 46 398.9 ათასი ლარით, მათ შორის გაიზარდა სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 100,0 ათასი ლარით, გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობა 3 298.9 ათასი ლარით და ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრასსფერის სახით აისახა 43 000,0 ათასი ლარი. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა–აღდგენა 130 531.3 ათასი ლარი – ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება 195 642.1 ათასი ლარი – ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება 88 089.3 ათასი ლარი – ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა 2 990.0 ათასი ლარი ბინათმესაკუთრეობა ამხანაგობების განცალკევება 29 925.7 ათასი ლარი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 189 539.5 ათასი ლარი განათლება 117 445.6 ათასი ლარი–კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა 28 954.0 ათასი ლარი – საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 3 158.3 ათასი ლარი – ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 75 333.3 ათასი ლარი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საშრომლინი მაჩვენებელი განისაზღვრა 810 009.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: გადასახადები 250 000,0 ათასი ლარი - საშემოსავლო გადასახადი 90 000,0 ათასი ლარი - საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 129 000,0 ათასი ლარი - ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 16 000,0 ათასი ლარი - მიწაზე ქონების გადასახადი 15 000,0 ათასი ლარი,

გრანტები 389 329.3 ათასი ლარი - გათანაბრებითი ტრანსფერი 345 806.9 ათასი ლარი. - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 62,4 ათასი ლარი - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 460.0 ათასი ლარი. სპეციალური ტრანსფერი - 43 000,0 ათსი ლარი. სხვა შემოსავლები 170 779,7 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი საკუთრებიდან – 15 071,2 ათასი ლარი - სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 64 000,0 ათასი ლარი - მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 45 000,0 ათასი ლარი - სანქციები (ჯარიმები და საურავები) 26 500,0 ათასი ლარი სხვადასხვა შემოსავლები 20 208,5 ათასი ლარი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯები პროექტით განსაზღვრულია 604 571,5 ათას ლარი, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 82 716,5 ათასი ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია 136 592,1 ათასი ლარი, პროცენტები გათვალისწინებულია 1 867,9 ათასი ლარით, სუბსიდიები 84 168,7 ათასი ლარით, გრანტები 32,1 ათასი ლარით, სოციალური უზრუნველყოფა 155 482,1 ათასი ლარით და სხვა ხარჯები 143 712,1 ათასი ლარით, მათ შორის ფინანსდება ისეთი პროგრამები, როგორიცაა ბინათმშენებლობა და ავარიული მენობების გამაგრება, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა, მწვრთნელთა მხარდაჭერა, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება და სხვა. არაფინანსური აქტივების ცვლილება წარმოდგენილი პროექტით არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 108 470,2 ათას ლარს, მათ შორის: – არაფინანსური აქტივების ზრდა – 158 470,2 ათასი ლარი. – არაფინანსური აქტივების კლება 50 000,0 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების ცვლილება ფინანსური აქტივების ცვლილება 90 905,7 ათასი ლარი – ფინანსური აქტივების ზრდა - 92 405,7 ათასი ლარი ფინანსური აქტივების კლება – 1 500,0 ათასი ლარი. ვალდებულებების ცვლილება 2018 წლისათვის (6 161,6) ათასი ლარი, რომელიც მთლიანად ვალდებულებების კლებას შეადგენს

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 97 067,3 ათას ლარით, რაც ნიშნავს რომ ქ. თბილისის 2018 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 861 609,0 ათას ლარს. 2018 წლის ბიუჯეტით დედაქალაქის პრიორიტეტები განისაზღვრა: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და განვითარება - 130 531,3 ათასი ლარით. პრიორიტეტი ითვალისწინებს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთების ქვეპროგრამებს, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სულ 95 926,5 ათასი ლარი, მათ შორის დაგეგმილია 1 045,3 ათასი კვმ გზების კაპიტალური და 675,9 ათასი კვ.მ გზების მიმდინარე შეკეთება. პირველად წარდგენილ ბიუჯეტთან შედარებით პროგრამა გაზრდილია 4,4 მლნ ლარით. ასევე, წარმოდგენილ პროექტში დამატებულია სოფელ დიღომში ყაზბეგის, რუსთაველის ნაწილისა და ფიროსმანის ქუჩების კაპიტალური შეკეთება, ლაგუნასთან გზის გაფართოება, ტეხურასა და ჩიქოვანის ქუჩების ნაწილის, როსტოვის, კანდელაკის, უზნაძის და წყნეთში ფიროსმანის

ქუჩების კაპიტალური შეკეთება, გაზრდილი ოდენობით არის წარმოდგენილი კახეთის გზატკეცილის (მარჯვენა) სათადარიგო ზოლის რეაბილიტაცია. ტრანსპორტის განვითარების პროგრამისათვის გათვალისწინებულია 34 604,8 ათასი ლარი, მათ შორის თავდაპირველად წარდგენილ ბიუჯეტისგან განსხვავებით გათვალისწინებულია მეტროს სადგურების ზედა და ქვედა ვესტიბიულების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები, როგორიცაა ვაგზლის მოედანი 1, 2 3, თავისუფლების მოედანი, რუსთაველი, მარჯანიშვილი, ისანი, წერეთელი, საბჭოთა უნივერსიტეტი, ნაძალადევი. ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 195 642,1 ათასი ლარი. თავდაპირველად წარმოდგენილ ბიუჯეტთან შედარებით პრიორიტეტის ასიგნება იზრდება 41 822,3 ათასი ლარით. მათ შორის გაზრდილია ქალაქის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა 37 365,6 მლნ ლარით

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება უკვე დაწყებული პროექტების დაფინანსება, როგორიცაა ისტორიული კულტურული ძეგლების და სხვა შენობების რეაბილიტაცია. ორბელიანის მოედნისა და სამდეგარე სახლების რეაბილიტაცია. ასევე, დაგეგმილია ახალი პროექტების დაწყება, მათ შორის მშრალი ხიდისა და გულდასაშვილის მოედნის რეაბილიტაცია. იზრდება ასევე, პროგრამა საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია 9 497,3 ათასი ლარით და შეადგენს 28 497,3 ათას ლარს. მათ შორის გათვალისწინებულია ახალი პროექტები როგორიცაა ქ. თბილისში, ვაშლიჯვრიდან გელოვანის გამზირზე ჩამოსავალი ესტაკადის მშენებლობა, ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, სარაჯიშვილის გამზირზე, მდ. გლდანულაზე არსებული ხიდების რეკონსტრუქცია, მუხიანი 2 საკანალიზაციო ქსელის მოწყობა. ამავე პროგრამის ფარგლებში გაზრდილი ოდენობით არის წარმოდგენილი სანიაღვრე/ საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქცია, სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა რეაბილიტაცია და საყრდენი კედლების მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

პირველად წარდგენილ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია პროგრამა დასუფთავების ღონისძიებები 3 000,0 ათასი ლარით, რომელიც მოხმარდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის პოლიგონისათვის ნაგვის სატვირთი დანადგარის შეძენას. ასევე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ.თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე მე-3 უჯრედის მშენებლობისთვის 6 000,0 ათასი ლარი და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის პოლიგონის წყალგამწმენდი დანადგარის შესაძენად 2 000,0 ათასი ლარი. თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა 5 952,9 ათასი ლარი. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება 29 925,7 ათასი ლარით, პროგრამა ითვალისწინებს ძრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წევრთა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების რეაბილიტაციისთვის, განახლებისთვის და ექსპლუატაციისთვის საჭირო სამუშაოებზე თანადაფინანსებას. დედაქალაქში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისა და მოსახლეობის

დახმარების მიზნით, ღონისძიებების თანადაფინანსება ბიუჯეტიდან ხორციელდება პროცენტულად. 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 11 ახალი ბაღის მშენებლობის დასრულება. ასევე, 2018 წელს იგეგმება 10 ახალი ბაღის პროექტირება-მშენებლობის დაწყება. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი განსაზღვრულია 2 520,0 ათასი ლარის ოდენობით. გარდა ამისა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტს ახლავს ინფორმაციული ხასიათის დანართები: დანართი 1 – პროგრამული ბიუჯეტის შესახებ, რომელიც მოიცავს ინფორმაციას განსახორციელებელი პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ, დანართი 2 - სხვა ხარჯების შესახებ, დანართი 3- ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების შესახებ, დანართი 4 - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შესახებ, დანართი 5 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მიმოხილვის შესახებ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი.

სხდომაზე კომისიის წევრებმა დასვეს კითხვები და გამოთქვეს მოსაზრებები, კერძოდ:

კომისიის წევრმა ბატონმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა მოითხოვა განმარტება - თუ რატომ მიიჩნია განვითარების ფონდმა პრიორიტეტად მშრალი ხიდის, ორბელიანის და გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაცია და არა უფრო სხვა ავარიული უბნის რეაბილიტაცია? რატომ ხდება პროექტის გამარტივებული შესყიდვით განხორციელება?

აღნიშნულ საკითხზე, განმარტებები გააკეთეს საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი თალაკვაძემ და ა.ა.ი.პ. „თბილისის განვითარების ფონდის" ხელმძღვანელმა გიორგი ბაიდარაშვილმა. მათ ჩამოთვალეს პრიორიტეტები, რომლის გათვალისწინებითაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება, ამ ეტაპზე მითითებული პროექტების განხორციელების თაობაზე. (პროექტი უშვალოდ ებმის დავით აღმაშენებლის რეაბილიტირებული გამზირის (მარჯანიშვილის მოედნიდან - ზაარბრიუკენის მოედნამდე) და „ახალი ტფილისი"-ს პროექტის გაგრძელებას წარმოადგენს. მათი განხორციელება, წინასწარ დამუშავებული გეგმის მიხედვით ხორციელდება. ამ მიმართებით თბილისის განვითარების ფონდმა 2015 წელს შექმნა 3 კონცეფცია :

1. ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების კონცეფციის შემუშავების პროექტი
2. ფიროსმანი-კარგარეთელი-აღმაშენებლის გამზირის და მისი განშტოებების-ზაარბრუკენის მოედნის-მშრალი ხიდისა და ორბელიანის მოედნის განვითარების კონცეფცია (ფკაომი)
3. გუდიაშვილის მოედნისა და მისი მიმდებარე არეალის რეაბილიტაციას კოწსერვაციის გეგმა.

კვლევების საფუძველზე გამოიკვეთა პრიორიტეტები და დაიგეგმა დიდი ტურისტული მარშრუტის შექმნა ქალაქის ისტორიულ ნაწილში, რომელიც გულისხმობს მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების ერთმანეთთან დაკავშირებას. გამარტივებული შესყიდვა საჭირო გახდა იმისთვის, რომ ფოხდმა ისტორიულ არეალში განახორციელოს სამუშაოები მაღალი ხარისხით და იმ სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენისთვისაა საჭირო. აღსანიშნავია, რომ, ასეთ არეალებში ხეცრი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და მათი რეაბილიტაცია საკმაოდ რთულია, ისინი ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებენ. აქედან გამომდინარე, ხშირად ხდება პროექტირებისა და ხარჯთაღრიცხვის კორექტირება, რაც ტენდერის პროცედურებით შეუძლებელია. ფონდი ატარებს ფასთა გამოკითხვას, რისთვისაც ბაზაში მუდმივად ჰყავს დაახლოებით 12-13 კომპანია, გარდა ამისა, საჭიროებისა მიცულობების აკრიტრიულების სრული ლუკან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო და ა.ა.ი.პ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია. გვინდა საზგასმით აღვნიშნოთ, რომ ამ ეტაპზე, ეს არის რეაბილიტაციის ყველაზე სწორი და აპრობირებული პრაქტიკა, აღნიშნა ბატონმა გიორგი ბაიდარაშვილმა.

ბატონ გიორგი თალაკვაძის თქმით, 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილია პროგრამული ბიუჯეტის ფორმატში. აღსანიშნავია, რომ გასულ წლებთან შედარებით 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის ძირითადი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის საშუალებას იძლევა დაგეგმვის პროცესიდანვე ბიუჯეტი ორიენტირებული იყოს შედეგებზე, კერძოდ, წარმოდგენილ პროექტში სათლად არის გასაზღვრული მიზნებ შედეგობრივი კავშირი კონკრეტულ ღონისძიებაში ჩადებულ ფინანსურ რესურსებსა და მოსალოდნელ შედეგებს შორის, რაც მიუთითებს სახუჯეტო რესურსების ეფექტურად გამოყენების პერსპექტივაზე.

წარმოდგენილ პროექტს მხარი არ დაუჭირა - ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა, გიორგი გაბაშვილმა და გოჩა თევდორაძემ.

აღნიშნულის გათვალისწინებით კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" (წერილი №12-0317342720-03) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2. ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად კომისიის წევრის ვახტანგ შაქარიშვილის წარდგენასთან დაკავშირებით.

ამავე სხდომაზე კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიაწოდა წინადადება, ქალაქ თბილისის ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის

კომისიის თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობა შეასრულოს კომისიის წევრმა ბატონმა ვახტანგ შაქარიშვილმა.

კომისიამ, ხმათა უმრავლესობით, მხარი დაუჭირა კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ კანდიდატურას.

ეროვნული დაგეგმარებისა და საქალაქო მშენებლობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

რევაზ სოხაძე